სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2012 წლის 13 მარტი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი(ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, 202-ე და 204-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის №50 დადგენილების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე №1 დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 იანვრის №5 დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადების შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ზედელაშვილი

დანართი №1

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე-2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე-1,5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე,რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს -3-ჯერ.

მუხლი 2

1. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის,გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.
2. სალიზინგო კომპანიისათვის ლიზინგის მთელი პეროდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების 0.6 პროცენტი.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.05 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.8 პროცენტი.

მუხლი 4

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე შეადგენს:

ა) სათიბებისათვის (მათ შორის, გაკულტურებული სათიბებისათვის) – 20 ლარს;

ბ) საძოვრებისათვის (მათ შორის, გაკულტურებული საძოვრებისათვის) – 16 ლარს;

გ) სახნავისათვის (კარგი და მწირი ხარისხის) და სხვა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე – 86 ლარს;

დ) ტყის მიწებზე, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით:

დ.ა) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) – 20 ლარს;

დ.ბ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) – 16 ლარს;

დ.გ) სახნავებისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოზე – 40 ლარს.

მუხლი 5

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ტერიტორიული კოეფიციენტი შეადგენს:

ა) ქ.სიღნაღის და ქ.წნორის ტერიტორაზე 0.28;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,გარდა მე-5 მუხლის „ა“ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერიტორიისა – 0.14.

№	ტერიტორია	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	ქ.სიღნაღი და ქ. წნორი	0,24	0.28	0,067
2.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე(გარდა ქ.წნორი და ქ.სიღნაღი)	0.24	0.14	0.033

მუხლი 6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი (ერთ კვ.მეტრზე განისაზღვროს ტერიტორიული კოეფიციენტის გამრავლებით საბაზისო განაკვეთზე 0,24 და წელიწადში შეადგენს;

1. ქ.სიღნაღი და ქ. წნორი – 0.067 ლარი.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარდა ქ.სიღნარისა და ქ.წნორისა – 0,033 ლარი.

მუხლი 7

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

მუხლი 8

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.